საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

საქმიანობის ანგარიში

2024 წელი

სააგენტოს შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანებია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მაღალი სტანდარტების დანერგვა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) საერთაშორისო სტანდარტების, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვით, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად პროცესს. ესენია: სამოქალაქო ავიაციის რეგულირება (სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ან/და ცვლილებების მიღება), ავიასწარმოებისა და ავიასპეციალისტების სერტიფიცირება და მათი მუდმივი ზედამხედველობა. სააგენტო ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების, სამოქალაქო აეროდრომების სახელმწიფო რეგისტრაციას, ავიაკომპანიების ბაზარზე დაშვებას და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დელეგირებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია: ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი; აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტი; საერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტი; საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი; გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი; საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი; ხარისხის მართვის დეპარტამენტი; უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი; სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტი.

რეგულირება / სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავებას და მიღებას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული, სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებას. სააგენტოს მიერ, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი აქტების შემუშავების უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს საჰაერო კოდექსით, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულებით. აგრეთვე, სააგეტნოს მიერ ხორციელდება ადმინისტრაციული საჩივრების მოსმენა მგზავრთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით და ტარდება ადმინისტრაციული წარმოება ავიასაწარმოების/ავიასპეციალისტების მხრიდან კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე, სათანადო ადმინისტრაციული ღონისძებების (ფულადი ჯარიმა, უკიდურეს შემთხვევაში სერტიფიკატის/მოწმობის შეჩერება/გაუქმება) გატარების მიზნით.

ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების, ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, 2024 წელს, სააგენტომ შესაბამისი ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების მიხედვით, ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის შესაბამისად, ასევე პარტნიორი სახელმწიფოების წარმატებული პრაქტიკის გათვალიწინებით, შემდეგი წესები/ცვლილებები მიიღო/პროექტზე იმუშავა:

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ იმუშავა **აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესის** პროექტზე (დამტკიცდა მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №73 დადგენილებით). წესი განსაზღვრავს: აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არის დადგენის, აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეში დაბრკოლების შემქმნელ შენობა-ნაგებობათა სიმაღლეების შეზღუდვის, დაბრკოლების შემქმნელ შენობა-ნაგებობათა ნიშანდების, დაბრკოლების შემქმნელ შენობა-ნაგებობათა დაჩრდილვის წესსა და პირობებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 თებერვლის №27 ბრძანება "ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესის" დამტკიცების შესახებ; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 თებერვლის №28 ბრძანება ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის აღრიცხვის და ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 თებერვლის №29 ბრძანება ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის მწარმოებლის იდენტიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების რეგულირების ევროპული გამოცდილების შესწავლის შედეგად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის აღრიცხვის და ექსპლუატაციის, საჰაერო ხომალდის მწარმოებლის იდენტიფიკაციის და ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესები დაამტკიცა. ახალი რეგულაციების მიღებით, საქართველოში ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების წარმოება, აღრიცხვა, ექსპლუატაცია და საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის მოპოვება გაცილებით მარტივი პირობებით იქნება შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ავიაციის აღნიშნული მიმართულების განვითარებას. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის აღრიცხვის და ექსპლუატაციის წესი ადგენს მოთხოვნებს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების მიმართ და განსაზღვრავს მათი იდენტიფიცირების, აღრიცხვის, მოდიფიკაციის და ექსპლუატაციის წესებსა და პირობებს. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის მწარმოებლის იდენტიფიკაციის წესი ადგენს აღნიშნული ხომალდების მწარმოებლის იდენტიფიკაციის მოთხოვნებს და მწარმოებლის მიერ შემუშავებული და დამზადებული საფრენი აპარატის მოქმედ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დემონსტრირების (დეკლარირება) ნორმებს. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის მოწმობის გაცემის წესი ადგენს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის პილოტის და ინსტრუქტორის მომზადების პროგრამებს, მათი ცოდნის შეფასების პირობებს, პილოტის მოწმობის გაცემის და კვალიფიკაციის მინიჭების მოთხოვნებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 19 თებერვლის N42 ბრძანება "კომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის (საავიაციო სამუშაოების) წესის" დამტკიცების შესახებ. წესი შემუშავებულია ევროპული რეგულაციის (EU 965/2012 Part-SPO (Specialised Operations)) მიხედვით. წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს საავიაციო სამუშაოების უსაფრთხო განხორციელებას, შესაბამისი საექსპლუატაციო მოთხოვნების დადგენის გზით. გარდა ამისა, სააგენტოს მისცემს უკეთეს შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, ასეთ ექსპლუატანტებზე განახორციელოს ეფექტური ზედამხედველობის

პროცესი. ნორმატიული აქტის ფარგლებში ასევე შესაძლებელი იქნება გარკვეული სახის სპეციალიზებული ექსპლუატაციის დეკლარაციის საფუძველზე განხორციელება, რაც შეამცირებს ამ სახის ექსპლუატაციისთვის ნებართვის მიღების ვადას და ასევე გაამარტივებს დაკავშირებულ ადმინისტრაციულ პროცესებს. წესი 2025 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება.

- **სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 12 მარტის N61 ბრძანება „სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო უშიშროების საკითხებში მომზადების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ.** „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის მე-17 დანართის ახალი მოთხოვნების და შესაბამისი ოფიციალური გამოცემების (ICAO Doc 8973, ECAC Doc 30) საფუძველზე, დამტკიცებული სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო უშიშროების საკითხებში მომზადების ახალი პროგრამის მიზანია, საავიაციო უშიშროების დონის გაუმჯობესება და შენარჩუნება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №556 დადგენილებით დამტკიცებული „მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ განსაზღვრული პირების და სხვა პერსონალის შერჩევის, მომზადების, სერტიფიკატის გაცემის, შემოწმების ოპერატორების სერტიფიცირების გზით.

- **სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 14 მარტის №65 ბრძანება “საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების და სხვა ავიასაწარმოების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესის” დამტკიცების თაობაზე.** წესი მიღებულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის მე-17 დანართის ახალი მოთხოვნების და შესაბამისი ოფიციალური გამოცემების (ICAO Doc 8973, ECAC Doc 30) საფუძველზე და მისი მიზანია საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების და სხვა ავიასაწარმოების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრა და ამ ზონებში პიროვნებების/ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგება.

- **სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N97 ბრძანება “საავიაციო მოვლენათა შეტყობინების და საავიაციო მოვლენათა შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესის” დამტკიცების შესახებ.** ახალი წესი შემუშავებულია ევროკავშირის (EU) 2015/1018, (EU) 2020/2034 და (EU) 2021/2082 რეგულაციების მოთხოვნების მიხედვით

და ადგენს საავიაციო მოვლენისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის შეგროვების, გაანალიზების, შენახვის, გამოყენების და მომდევნო ქმედებების განხორციელების უფრო სრულყოფილ და დეტალურ მოთხოვნებს. წესი 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან შევიდა ძალაში.

- **სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N96 ბრძანება „პლანერის საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის" დამტკიცების შესახებ.** წესი ადგენს პლანერების საფრენოსნო ექსპლუატაციის მოთხოვნებს როგორც აღჭურვილობის, ისე საფრენოსნო პროცედურების და დოკუმენტაციის მიმართ. აქამდე პლანერების ექსლუატაცია საქართველოს საავიაციო კანონმდებლობით არ იყო რეგულირებული. ნორმატიული აქტი ეფუძნება აღნიშნული ტიპის საჰაერო ხომალდების რეგულირების კუთხით არსებულ ევროპულ გამოცდილებას, კერძოდ, წესი მიღებულია ევროკომისიის რეგულაციის (EU) 2018/1976 მოთხოვნების მიხედვით.

- ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით, დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №210 ბრძანებით მორიგი ცვლილებები შევიდა **„ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებში"** (2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანება). ცვლილებების მიხედვით, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპული რეგულაციის 1178/2011 FCL.025 ნაწილის მოთხოვნებთან, დეტალურად განისაზღვრა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში საფრენონსო ეკიპაჟის წევრების თეორიული გამოცდების ჩატარების წესები და მოთხოვნები, ასევე მოწმობის მაძიებელი კანდიდატების უფლებები და მოვალეობები.

- **სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 2 ოქტომბრის №225 ბრძანება „ბორტკვების საწარმოს სერტიფიცირების წესის" დამტკიცების შესახებ**. წესის მიზანია, ბორტკვების საწარმოს ფუნქციონირების სამართლებრივი მოწესრიგება, საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით და განსაზღვრავს ბორტკვების საწარმოს სასერტიფიკაციო მოთხოვნებს, სერტიფიცირების წესსა და პირობებს, აგრეთვე, სერტიფიკატის მფლობელისა და სერტიფიკატის გამცემი ორგანოს უფლებამოსილებას. ნორმატიული აქტი შემუშავებულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ" კონვენციის მე-17 დანართის მოთხოვნების და ევროკავშირის (EU)N300/2008 და N185/2010 რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. ბორტკვების საწარმოს სერტიფიცირების წესი 2025 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა.

სერტიფიცირება / რეგისტრაცია

საქართველოში, სამოქალაქო ავიაციის სფეროში სერტიფიცირების წესებს ადგენს და სერტიფიცირებას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. სერტიფიცირებას ექვემდებარება ყველა ავიასაწარმო, რომელიც ჩართულია საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებში – ავიაკომპანია, აეროდრომი, სააერნაონსო მომსახურების საწარმო, საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების საწარმო, საავიაციო სასწავლო დაწესებულება, ავიასაწვავგამმართველი საწარმო და ა.შ. სერტიფიცირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის და მისი დანართების შესაბამისად. ამასთან, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, სააგენტო განაგრძობს ეროვნული საავიაციო კანონმდებლობის დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც ეტაპობრივად ასახვას ჰპოვებს უწყების მიერ ჩატარებულ სერტიფიცირების პროცესებზეც.

- 2024 წელს, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების სერტიფიცირების კუთხით განხორციელდა:
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატების მოქმედების ვადის გაგრძელება - 2 (შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“; შპს „ავიასერვისი“);
  - საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატების გაუქმება - 1 (შპს „სქაი თრეველი“);
  - დაიწყო AOC-ის მაძიებლის - სს „უანქლიქ ეარვეიზ“-ის პირველადი სერტიფიცირების პროცესი;
  - ცვლილება (რედაქციული) საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატში და დანართებში -1;
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში საჰაერო ხომალდის შეტანა -11;
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართიდან საჰაერო ხომალდის ამოღება - 4;
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართში/საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -5;
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემა - 2;
  - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის მოქმედების ვადის

გაგრძელება - 2;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაუქმება - 4.

- 2024 წელს გაიცა საჰაერო ხომალდის ვარგისობის და ხმაურის სერტიფიკატი 17 ერთეულ საჰაერო ხომალდზე, ხოლო რადიო სადგურის სერტიფიკატი 19 ერთეულ საჰაერო ხომალდზე. (ინფორმაცია სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდებზე ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/civil-aircraft-register/);

- 2024 წელს, განხორციელდა 4 საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოს სერტიფიცირება;

- 2024 წელს განხორციელდა სს „სასწავლო ავიაცენტრის“ სერტიფიცირება, ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის უფლებამოსილებით;

- 2024 წლის განმავლობაში, სათანადო განაცხადისა თანდართული მასალის განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 35 სასწავლო დაწესებულების/საწაფის აღიარება, აგრეთვე აღიარებული იქნა შესაბამისი სასწავლო პროგრამები. ხოლო აღიარებაზე უარი ეთქვა და დახარვეზდა 3 განმცხადებლის მოთხოვნა. საერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის მიმართულებით აღიარებულ იქნა ინგლისური ენის შეფასების 2 სასწავლო დაწესებულება.

- 2024 წლის განმავლობაში, შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, გაიცა 18 მასწავლებლის მოწმობა.

- 2024 წელს, განხორციელდა შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ - თელავის საფრენი მოედნის რეგისტრაცია.

- 2024 წლის განმავლობაში, დასერტიფიცირდა შემდეგი საწვავ-გამმართველი საწარმოები: „თი-სი-ეი“; „ავიასერვისი“.

- 2024 წლის განმავლობაში, განხორციელდა ტექნიკური საშუალების/სისტემის შემდეგი აღიარებები: შპს „საქაერონავიგაციის“ კოპიტნარის, კოჯორის და საწყობის ობიექტებზე “JOTRONAS”-ის წარმოების რადიოსადგურების აღიარება; შპს „საქაერონავიგაციის“ ბათუმის ობიექტზე Indra Air Traffic Inc-ის წარმოების სახელსაწყო დაფრენის სისტემის და მასთან შეთავსებული მანძილსაზომი მოწყობილობის ILS/DME-12 აღიარება.

- გაიცა ზემსუბუქი A22 LS ტიპის საჰაერო ხომალდის და მისი მწარმოებლის იდენტიფიკაციის სერტიფიკატი;

- 2024 წელს, უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებზე გაიცა აგროსამუშაოების წარმოების 5 თანხმობის სერტიფიკატი (შპს „საქართველოს პრემიუმ დრონები“; შპს „ბიოპლანტი“ (3); შპს „აგრო მეტა“). 2024 წლის 1 იანვრის მგომარეობით, უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებული იყო უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების 820 ექსპლუატანტი (ოპერტაორი), მათ შორის 25 იურიდიულ პირი. ამავე საანგარიშო პერიოდში, პლატფორმაზე აიტვირთა 101 უპილოტო საჰაერო ხომალდი მონაცემი. 2025 წლის 1 იანვრის მგომარეობით, უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებულია უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების 1116 ექსპლუატანტი (ოპერატორი), მათ შორის 33 იურიდიულ პირი. ამავე საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, პლატფორმაზე აიტვირთა 169 უპილოტო საჰაერო ხომალდის მონაცემი.

ინსპექტირება / ზედამხედველობა

საქართველოში სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ავიასაწარმოების საქმიანობის ინსპექტირებას ახორციელებენ სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ან/და SAFA-ს ინსპექტორები, რომელთა უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონმდებლობით. საინსპექციო საქმიანობის მიზანია ინსპექტირების ობიექტისა და მისი საქმიანობის შესაბამისობის დადგენა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, აგრეთვე ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის შენარჩუნება და/ან შემდგომი გაუჯობესება. სააგენტო ადგენს ინსპექტირების პროგრამას ყველა საზედამხედველო მიმართულებით, ავიასაწარმოების სპეციფიკის, საქმიანობის კომპლექსურობის, წინა სერტიფიცირების ან/და საზედამხედველო საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით და ახორციელებს ინსპექტირებას აღნიშნული პროგრამის შესაბამისად.

- 2024 წელს, „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების (ავიაკომპანიების) შემოწმებების 2024 წლის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა: საბაზო ობიექტების წინასასერტიფიკაციო ინსპექტირებები (3); საბაზო ობეიქტების გეგმიური ინსპექტირებები (34); საჰაერო ხომალდის ბაქანზე ინსპექტირებები (62); უფროსი პილოტ-ინსტრუქტრის კვალიფიკაციის მინიჭება (4 ავიასპეციალისტი); უფროსი პილოტ-ინსტრუქტრის კვალიფიკაციის გაგრძელება (3 ავიასპეციალისტი); პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები საწაფზე (6); მარშრუტზე ინსპექტირება (2).

- 2024 წელს, განხორციელდა აეროდრომების ექსპლუატანტების 6 გეგმიური და საწვავგასამართი საწარმოების 2 გეგმიური შემოწმება.

- 2024 წლის განმავლობაში, სასწავლო დაწესებულებების (OPS მიმართულება) სერტიფიცირების და ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარდა წინასასერტიფიკაციო, გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებები. მათ შორის - 1 წინასასერტიფიკაციო, 2 გეგმიური/შუალედური შემოწმება და 1 არაგეგმიური შემოწმება. შემოწმებები განხორციელდა შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში“, სს „სასწავლო ავიაცენტრში“ და „მედი ქლაბ ჯორჯიაში“ (სასწავლო პროგრამის შეთანხმების მიზნით).

- 2024 წელს, განხორციელდა შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ მფლობელობაში მყოფი, 2023 წელს სერტიფიცირებული ფრენის იმიტაციის საწვრთნელი მოწყობილობის - საწაფის (FSPT II) გეგმიური შემოწმება. საწაფზე მიმდინარეობს ავიასპეციალისტთა სახელსაწყო ფრენის წესებით ფრენისათვის მომზადება (IR);

- 2024 წელს, სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს ინსპექტირება განხორციელდა ოთხ ლოკაციაზე: შპს „საქაერონავიგაცია“ (მესტია); შპს „საქაერონავიგაცია“ (ამბროლაური, ბათუმი); შპს „საქაერონავიგაცია“ (თბილისი). სააერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის კუთხით შემოწმდენ ასევე შემდეგი ოპერატორები: შპს „ტავ ურბან საქართველო“ (თბილისი); შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (თბილისი); შპს „ტავ ურბან საქართველო“ (ბათუმი);

- 2024 წლის განმავლობაში, გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა, განახორციელა როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ინსპექტირებები სახიფათო ტვირთის გადაზიდვის კუთხით. ინსპექტირებები განხორციელდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, დანიშნული საფოსტო ოპერატორი, აეროპორტების ოპერატორები, ტვირთგამგზავნები და უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველები. ამასთან, განხორციელდა საქართველოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 35 ინსპექტირება.

- განხორციელდა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული 71 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდიდან 59-ის შემოწმება ფრენის ვარგისობის დადგენის მიზნით, ასევე, ტექნიკური მომსახურების, საფრენად ვარგისობის მართვის და ტექნიკური საწარმოს გეგმიური და სასერტიფიკაციო შემოწმებები.გეგმიური შემოწმებები ხორციელდება იმ საჰაერო ხომალდებზე რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი საფრენად ვარგისობის სერტიფიკატი და ხდება მისი საფრენოსო ექსპლუატაცია.

- ფრენის ვარგისობის კუთხით, ზედამხედველობა განხორციელდა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 10 საწარმოზე, საფრენად ვარგისობის მართვის 16 საწარმოზე, საფრენად ვარგისობის 4 კომბინირებულ საწარმოზე, საჰაერო ხომალდის 15 ექსპლუატანტზე და 2 სასწავლო დაწესებულებაზე.

- რისკების შეფასების პროცედურის გაანგარიშებული შემოწმების გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა საავიაციო უშიშროების ინსპექტირებები საქართველოს აეროპორტებში (5), სატვირთო ტერმინალებში (3), საწვავგასამართ საწარმოებში (5), ავიაკომპანიებში (12) და სააერნაოსნო მომსახურების საწარმოში(1). შემოწმდა 8 უცხოური ავიაკომპანია. ბაქანზე შემოწმება განხორციელდა 2 უცხოური ავიაკომპანიის საჰაერო ხომალდზე. ხარისხის კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა საავიაციო უშიშროების სისტემის გამოცდები (32) როგორც დამოუკიდებლად, სააგენტოს მიერ, ისე ერთობლივად - შპს აეროპორტების გაერთიანებასთან.

- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ჩატარდა უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების (EU Ramp Inspection Programme SAFA) წლიური გეგმით გათვალისწინებული ინსპექტირებები (17);

- ჩატარდა შპს „პირველი ავიასამედიცინო ცენტრის“ შემოწმება, ინსპექტირების წლიური გეგმის შესაბამისად. შემოწმებული იქნა ავიასამედიცინო ცენტრის უსაფრთხოების მართვის სისტემა. განხორციელდა ასევე მომდევნო გეგმიური შემოწმებაც. ავიასამედიცინო ექსპერტებზე ზედამხედველობა მიმდინარეობდა მუდმივად, მათ მიერ გაცემული სამედიცინო სერტიფიკატის შესაბამისი დოკუმენტაციის, შემოწმების საფუძველზე.

- 2024 წლის განმავლობაში, უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის მიმართულებით განახორციელდა 3 გეგმიური ინსპექტირება (შპს „კოპტერ.ჯი“; შპს „კოპტერ.ჯი“; ა(ა)იპ „საქართველოს პარაგლაიდინგის ფედერაცია“.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა

2024 წლის განმავლობაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა სამართალდარღვევათა 8 ოქმი. ავიასაწარმოების / პერსონალის დაჯარიმება მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დარღვევებზე:

- სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევა (5);
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევა (1);
- სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ან შეეძლო შეექმნა ფრენის უსაფრთხოებისათვის ან/და საავიაციო უშიშროებისათვის (1);
- სამოქალაქო საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესების დარღვევა (1);

საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა

2022 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საავიაციო უსაფრთხოების 2022-2024 წლების ეროვნული გეგმა (NASP of Georgia 2022-2024) დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამოქმედო დოკუმენტი პირველად იქნა შემუშავებული საქართველოში. ფრენის უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (NASP) არის დაგეგმარების მთავარი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საქართველოს სტრატეგიულ მიმართულებას საავიაციო უსაფრთხოების მართვის კუთხით. დოკუმენტში ჩამოთვლილი უსაფრთხოების რისკების პრევენციისაკენ მიმართულ ქმედებები ხელს უწყობს უსაფრთხოების გაუმჯობესებას როგორც ეროვნულ, ისე ფართო რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. საავიაციო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა შემუშავებულია უსაფრთხოების იმ საერთაშორისო მიზნების, ამოცანების და მაღალი რისკის კატეგორიების (HRC) გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია როგორც გლობალური საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (GASP), ასევე, ევროპულ/ჩრდილო ატლანტიკურ რეგიონალურ საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (EUR/NAT RASP).

დოკუმენტი მოიცავს საავიაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკვანძო ასპექტებს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, როგორც სფეროს ზედამხედველი უწყების ხედვას, პოლიტიკას და ექსპერტულ ანალიზს, საავიაციო უსაფრთხოების ეროვნულ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, ასევე ფრენის უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების / გაძლიერების ინიციატივებსა და ქმედებებს, ამ ქმედებების იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმებს, იდენტიფიცირებულ უსაფრთხოების რისკებს, მათი შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებების კომპლექსს და სხვა.

სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს უსაფრთხოების ეროვნულ გეგმაში ასახული ინიციატივების ეფექტურობის მონიტორინგს და შედეგებიდან გამომდინარე, ახდენს გეგმის განახლებას. 2024 წელს გამოცემული განახლებული გეგმა ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდის შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/guidance-materials/

ICAO-ს საავიაციო უშიშროების აუდიტი

2024 წლის 18-27 მარტს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) საავიაციო უშიშროების აუდიტი ჩატარდა. ICAO-ს ოფიციალური დასკვნის საფუძველზე, რომელიც სააგენტომ მაისში მიიღო, საქართველომ წარმატებით გაიარა აღნიშნული აუდიტი და გააუმჯობესა საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ზედამხედველობის მაჩვენებლები. აუდიტის დასკვნის თანახმად, საქართველოს საავიაციო უშიშროების ზედამხედველობის მდგრადობის ინდიკატორმა 89.75%-ი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ზედამხედველობის მაჩვენებლები გაუმჯობესებულია წინამორბედ, 2015 წლის აუდიტთან მიმართებაშიც, რომლის ფარგლებშიც საქართველომ მაღალ შედეგებს მიაღწია და მისი საერთო მაჩვენებელი 87.8%-ს შეადგენდა. 2008 წელს განხორციელებული ანალოგიური აუდიტის შედეგებით, საქართველოს საავიაციო უშიშროებაზე ზედამხედველობის საერთო მაჩვენებელი 58%-ს უტოლდებოდა.

აუდიტის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, ეროვნული მარეგულირებელი ნორმების შემუშავებას, საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფაში ჩართული ავიასაწარმოების, ავიასპეციალისტების და საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი პერსონალის ზედამხედველობას ახორციელებს საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული მაჩვენებლებით, საქართველო მყარად ინარჩუნებს წამყვან პოზიციებს ევროპის რეგიონში, რაც დადებითად მოქმედებს შესაბამის სექტორში ქვეყნის რეპუტაციაზე.

საავიაციო ბაზარზე დაშვება, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები ციფრებში და საჰაერო მიმოსვლის აღდგენის დინამიკა საქართველოში

2024 წლის განმავლობაში, საქართველოს ავიაბაზარზე ფრენები დაიწყო თორმეტმა ახალმა ავიაკომპანიამ (Ajet, Transavia, Centrum Air, Austrian Airlines, Red Wings, Somon Air, Sky Express, Air China, Iran AIrtour Airlines, SF Airlines, Airzena LLC, Yato Cargo). ფრენები დაიწყო ისეთი ახალი მიმართულებებით, როგორიცაა: დუშანბე - თბილისი - დუშანბე და ელ-ქუვეითი - ბათუმი - ელ-ქუვეითი. სააგენტოს მიერ აღიარებულ იქნა 8 უცხო ქვეყნის ავიაკომპანია, რომლებმაც დაიწყეს რეგულარული ფრენების განხორციელება. საქართველოს მიმართულებით ფრენების განხორციელების უფლება მიენიჭათ ასევე 3 უცხო ქვეყნის კომპანიას, რომლებმაც დაიწყეს ჩარტერული ფრენების შესრულება. 2024 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ განახორციელა 5 ქართული ავიაკომპანიის (ჯეო სქაი, ჯორჯიან ეარვეისი, საქართველოს ავიახაზები, კამექსი, იზი ჩარტერი) დანიშვნა 35 საჰაერო ხაზზე. სულ, 2024 წლის განმავლობაში გაიცა 4114 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა და 492 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დაჯამებული მონაცემების მიხედვით, 2024 წელს, საქართველოს აეროპორტები რეგულარული და არარეგულარული რეისებით 7 450 652 მგზავრს მოემსახურა, რაც მგზავრთნაკადის რეკორდული მაჩვენებელია ქვეყნისთვის. 2024 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობა 24%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე. აღსანიშნავია, რომ 2023 წელი 6 013 995 გადაყვანილი მგზავრით ასევე რეკორდული იყო სამოქალაქო ავიაციისთვის.

გასულ წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 4 750 425 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2023 წელთან შედარებით 29%-ს შეადგენს. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით გადაყვანილ იქნა 1 722 804 მგზავრი. მგზავრთნაკადის ზრდამ 2023 წელთან შედარებით 3%-ი შეადგინა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 2024 წელს 951 766 მგზავრს მოემსახურა, რაც 53%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებლებს.

2024 წელი რეკორდული იყო განხორციელებული ფრენების თვალსაზრისითაც. გასულ წელს, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 32 528 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული

რეისების რაოდენობა შეადგენდა 25 342 ფრენას, ხოლო ჩარტერების რაოდენობა 7 186-ს. 2023 წელს განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისების რაოდენობა 24%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებლები. კერძოდ, 2023 წელთან შედარებით, საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებელი გაიზარდა 29%-ით. სულ, გასულ წელს 299023 ერთეული საჰაერო სივრცის გამოყენება დაფიქსირდა.

დადებითი დინამიკა შენარჩუნდა საჰაერო სატვირთო გადაზიდვების კუთხით. 2024 წელს, საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 25695.581 ტონა შეადგინა. 2023 წელთან შედარებით, ტვირთბრუნვა 25%-ით არის გაზრდილი.

2024 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე დამაჯერებლად ლიდერობს Wizz Air-ი. ავიაკომპანია ბაზრის 17%-იან წილს ფლობს და 1 259 069 მგზავრი ყავს გადაყვანილი. რეგულარული და ჩარტერული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტული წილის მიხედვით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

Wizz Air Hungary – 17% (1 259 069 მგზავრი);
Turkish Airlines – 7% (553 349 მგზავრი);
Pegasus – 7% (546 211 მგზავრი);
Georgian Airways – 7% (515 113 მგზავრი);
Azerbaijan Airlines – 6% (412 980 მგზავრი);

2025 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოს აეროპორტებში 50 ავიაკომპანია 92 საჰაერო ხაზზე ოპერირებს. 2024 წლის საჰაერო მიმოსვლის დაჯამებული სტატისტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://gcaa.ge/statistics/

ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობის და საიმედოობის შეფასება

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს. საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი უფლებამოსილია კომერციული მიზნით განახორციელოს მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა, თუ მას აქვს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა.

2024 წელს მიმდინარეობდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასება, ანალიზი და მუდმივი ზედამხედველობა. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

- მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში, შემოწმდა 12 ავიაკომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა და მომზადდა 12 ანგარიში;

- წესის შესაბამისად, საჰაერო-გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელებს 2023 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა დაევალათ 2024 წლის 1 ივლისამდე. ანგარიშგება წარმოადგინა 12 ავიასაწარმომ.

ავიასპეციალისტების სერტიფიცირება

პირები, რომელნიც ჩართულნი არიან საჰაერო ხომალდების ექპლუატაციის, მომსახურების და საჰაერო მოძრაობის მომსახურების პროცესში ექვემდებარებიან სავალდებულო სერტიფიცირებას. საქართველოში ავიასპეციალისტების სერტიფიცირებას და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

2024 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა ავიასპეციალისტებზე მოწმობების გაცემა, გამოცვლა, მოქმედების ვადის გაგრძელება და მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნების შესახებ ჩანაწერის გაკეთება. კერძოდ, სააგენტომ უზრუნველყო:

საფრენოსნო მიმართულებით:
ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემა - 63;
ავიასპეციალისტის მოწმობის ვადის გაგრძელება - 230;
უცხო ქვეყნის ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება - 149;

სააერნაოსნო მომსახურების ,იმართულებით:
ავიამეთვალყურეთა მოწმობების გაცემა - 80;
მეთვალყურე-შეგირდის მოწმობის გაცემა - 15;

საჰაერო ხომალდების ვარგისობის მიმართულებით:
საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მოწმობის გაცემა - 27.

2024 წელს, სააგენტოში გაგრძელდა (პროცესი დაიწყო 2022 წელს) თეორიული გამოცდების ჩატარება საფრენონსო ეკიპაჟის წევრებზე ავიასპეციალისტის მოწმობების და ოსტატობის პირველადი გაცემის, ასევე სხვა ქვეყნის მოწმობის პირველადი აღიარების მიზნით. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებზე (CPL, ATPL) მოწმობის პირველად გაცემის და სახელსაწყო ფრენის წესების ოსტატობის მოპოვების მიზნით განხორციელებული თეორიული გამოცდების რაოდენობა: ATPL – 285; IR – 57; CPL - 0. საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებზე (CPL, ATPL) მოწმობის აღიარების მიზნით განხორციელებული თეორიული გამოცდების რაოდენობა - 176. საერთო ჯამში განხორციელდა 518 გამოცდა, მაშინ როდესაც, 2022 წელს თეორიული გამოცდების სააგენტოში ჩატარების დაწყებიდან, 2023 წლის ბოლომდე სულ ჩატარდა 405 თეორიული გამოცდა.

მგზავრთა უფლებების დაცვა

ფრენების უსაფრთხოებასა და უშიშროებაზე ზედამხედველობასთან ერთად, სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოადგენს. დღეისათვის, უწყების მიერ დანერგილია სრული სპექტრი რეგულაციებისა, რომლებიც ადგენენ ევროპული სტანდარტების შესაბამის კომპენსაციებს რეისის გაუქმების შემთხვევაში, შშმ პირების უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ბარგის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში. ამასთან 2017 წლიდან, ავიაკომპანიებს დაუწესდათ ევროპული სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო მოთხოვნები.

2024 წლის განმავლობაში, სააგენტო აქტიურად იყო ჩართული მგზავრთა უფლებების დაცვის ზედამხედველობით საქმიანობაში. გადაყვანა-გადაზიდვების და სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტების მიერ, განხილულ იქნა 120 საჩივარი, რომლებიც შემოვიდა მგზავრებისა და შუამავალი ორგანიზაციების მხრიდან, ფრენის დაგვიანების, ფრენის გაუქმების და/ან ფრენაზე უარის თქმის თაობაზე. შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან საჩივარი არ შემოსულა.

აეროდრომის დაცვის არეში (აეროდრომის რაიონში) ობიექტების დასაშვები სიმაღლის შეთანხმება

აეროდრომის დაცვის არეებში ფრენების უსაფრთხოების არსებული სტანდარტების შემდგომი გაუმჯობესების და საავიაციო დაბრკოლებათა კონტროლის მექანიზმის სრულყოფის მიზნით, 2023 წელს, შეიცვალა სამოქალაქო აეროდრომების დაცვის არეებში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლეების შეთანხმების მოდელი. კერძოდ, საქართველოს საჰაერო კოდექსში 2023 წლის ივნისში შესული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის დაცვის არეებში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლეების შეთანხმების უფლებამოსილება მიენიჭა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს. მანამდე, აეროდრომის რაიონში მდებარე საპროექტო ტერიტორიების სამშენებლოდ განვითარებისთვის საჭირო იყო შესაბამისი აეროდრომის ექსპლუატანტის (აეროპორტის ოპერატორი კომპანიის) თანხმობა.

2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 379 მშენებლობის განცხადის განხილვა/შეთანხმება. ამავე წელს, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, სააგენტოს უზურუნველყო სამოქალაქო აეროდრომების დაცვის არეების შესაბამის ვებ. პორტალზე განთავსება, რის შესახებაც მიმდინარეობს სააგენტოს ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება. სააგენტომ ასევე შეიმუშავა აეროდრომების დაცვის არეების 3D ფორმატები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი გახდება 3D ფორმატის ნახაზების ვალიდაცია/ვერიფიკაციის შემდეგ.

პერსონალის / ინსტრუქტორების / შემოწმების ოპერატორების სერტიფიცირება, საშვების გაცემა

- 2024 წლის განმავლობაში, განხორციელდა სახიფათო ტვირთების 5 ინსტრუქტორის სერტიფიცირება სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ შესაბამისად. გაიცა ინსტრუქტორის შესაბამისი მოწმობები.

- „სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო უშიშროების საკითხებში მომზადების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 12 მარტის N61 ბრძანების შესაბამისად, განხორციელდა საავიაციო უშიშროების 4 ინსტრუქტორის სერტიფიცირება;

- სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების ტექნიკურ პერსონალზე გაიცა 9 მოწმობა.

- გაიცა 361 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი;

- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები (მათ შორის ეკიპაჟის წევრის 136 საშვი).

NOTAM-ების გამოცემა / ცვლილებები AIP-ში

2024 წლის განმავლობაში, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დამუშავდა და გაიცა დაახლოებით 200 NOTAM-ი. დამუშავდა და გაიცა ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულის 4 ცვლილება.

საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

სამოქალაქო ავიაციის სფეროს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საავიაციო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის გაღრმავების, ურთიერთკოორდინაციის გაუმჯობესების, გლობალურ და რეგიონალურ დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებზე მუდამ განახლებული ინფორმაციის ქონის, სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საავიაციო აქტივობებში, პროექტებში, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებსა თუ თემატურ შეხვედრებში. სააგენტო ხელს უწყობს თანშრომლების მაღალი დონის ჩართულობას ტექნიკური დახმარების პროექტებში, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სპეციალისტები ეცნობიან წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებებს და თავის მხრივ დახმარებას უწევენ რეგიონის ქვეყნებს საქართველოს გამოცდილებების გაცნობის და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების კუთხით.

2024 წელს განხორციელებული ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები:

აპრილი, 2024 წელი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და გაერთიანებული საავიაციო ხელისუფლებების სასწავლო ორგანიზაციას (JAA TO) შორის სასწავლო მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულება გაფორმდა. JAA TO წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო საავიაციო სასწავლო დაწესებულებას, რომელთანაც სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსების უზრუნველყოფის და მათი კვალიფიკაციის ამაღლება-შენარჩუნების მიმართულებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების სხვადასხვა შესაძლებლობას, რაც დადებითად აისახება სააგენტოს თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების პროცესზე.

აპრილი, 2024 წელი

სააგენტომ 2024 წელს აქტიურად აქტიურად გააგრძელა ტექნიკური მხარდაჭერის პროექტებში ჩართულობა, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებას და გაძლიერებას ICAO-ს სტანდარტების და რეკომენდებული პრაქტიკის დანერგვის პროცესში. 1-5 აპრილს, სააგენტომ ყირგიზეთის საავიაციო უწყების (State Civil Aviation Agency of Kyrgyz Republic) დელეგაციას უმასპინძლა. ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს სპეციალისტებმა კოლეგებს გაუზიარეს პრაქტიკული გამოცდილება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა აეროპორტებზე და აეროდრომებზე ზედამხედველობა, საერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა, ავიასპეციალისტების სერტიფიცირება, საავიაციო კანონმდებლობა, ხარისხის მართვის სისტემა და საავიაციო ხელისუფლების ორგანიზაციულ-სტრუქტურული შესაძლებლობები.

აპრილი, 2024 წელი

ევროკავშირის ხელშეწყობით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები მიწვეულნი იყვნენ ქალაქ ბორდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის ხელისუფლების (DGAC) მიერ ჩატარებულ აუდიტში დამკვირვებლის რანგში. შემოწმება ითვალისწინებდა EASA-ს „Air Operations Regulation (EU) No 965/2012 Part-SPO (Specialised Operations)“ რეგულაციის შესაბამისად სპეციალიზებული ექსპლუატაციის ინსპექტირების განხორციელებას.

აპრილი, 2024 წელი

გივი დავითაშვილმა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა და ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებების დღის წესრიგი შესაბამისი საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების და ევროპის რეგიონისათვის პრიორიტეტული საკითხების განხილვას მოიცავდა. საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები შედგა ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორთან ნიკოლას რალოსთან, მასპინძელი ქვეყნის - საფრანგეთის სამოქალაქო

ავიაციის დირექტორატის პირველ პირებთან და სხვა წევრი სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებების ხელმძღვანელებთან. მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე, ასევე ICAO-ს და ECAC-ის ეგიდით გათვალისწინებულ ღონისძიებებში ქვეყნების ჩართულობაზე და კოორდინირებულ ქმედებებზე.

ივნისი, 2024 წელი

ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს სამედიცინო ექსპერტებმა საქართველოს მიერ ავიასამედიცინო სფეროში ევროპული რეგულაციების ((EU) 1178/2011-ის PART- MED და (EU) 2015/340)) დანერგვის სტატუსი შეაფასეს. EASA-ს სამედიცინო ექსპერტების მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ავიასამედიცინო მიმართულებით მიღწეული პროგრესი. აქვე, გაიცა რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სააგენტოს სერტიფიცირების და ზედამხედველობის მექანიზმების სრულყოფასა და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაში.

ივნისი, 2024 წელი

საქართველოს დელეგაციამ EUROCONTROL-ის მმართველი საბჭოს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) მმართველი საბჭოს რიგით 61-ე სესიის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრის მონაწილეებმა სამოქალაქო ავიაციისა და საჰაერო მოძრაობის მართვის აქტუალური და მიმდინარე საკითხები, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისა და პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის გათვალისწინებით ევროპის რეგიონში საჰაერო მიმოსვლის კუთხით არსებული მზარდი მაჩვენებლები და საოპერაციო გამოწვევები განიხილეს.

ივნისი, 2024 წელი

საქართველოსა და კორეის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა ხელი. მემორანდუმის შესაბამისად განისაზღვრა ფრენის სიხშირეები: საქართველოსა და კორეის დანიშნულ ავიაკომპანიებს უფლება ექნებათ რეგულარული სამგზავრო/სატვირთო ფრენები განახორციელონ კვირაში 7 სიხშირით.

ივლისი, 2024 წელი

უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგულირების და ზედამხედველობის ევროპული გამოცდილების შესწავლის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტებმა გერმანიის საავიაციო ხელისუფლების (Luftfahrt-Bundesamt – Federal Aviation Authority) მიერ ჩატარებულ ინსპექტირების პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ვიზიტი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის (EaP) მხარდაჭერით განხორციელდა. ინსპექტირების ფარგლებში, რომელშიც ქართული მხარე დამკვირვებლის რანგში იყო ჩართული, შემოწმდა უპილოტო საჰაერო ხომალდებით კომერციული საქმიანობის, კერძოდ, სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი ოპერატორი კომპანია. ვიზუალური მხედველობის არის მიღმა, დრონებით ტვირთების ტრანსპორტირება ევროკავშირში ერთ-ერთ პირველ პრეცენდენტს წარმოადგენს. აღნიშნული ექსპლუატანტის საინსპექციო შემოწმებაში ჩართვა მნიშვნელოვან გამოცდილებას შესძენს სააგენტოს სპეციალისტებს, მომავალში მსგავსი სახის ექსპლუატაციის განმახორციელებელ სუბიექტებზე შესაბამისი ზედამხედველობის უზრუნველყოფის კუთხით.

ივლისი, 2024 წელი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ორგანიზებით და ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციასთან (EUROCONTROL) თანამშრომლობით, 2024 წლის 9-11 ივლისს, თბილისში საერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების ზედამხედველობის და მართვის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში, განხილულ იქნა ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციის მიხედვით (EU 2017/373) საერნაოსნო მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიმართ დადგენილი მოთხოვნების ზედამხედველობის, საერნაოსნო მომსახურების სფეროში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცვლილებების შეფასების და მართვის პრაქტიკული ასპექტები.

ივლისი, 2024 წელი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელმა გივი დავითაშვილმა ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) რიგით 42-ე პლენარულ სესიაში მიიღო მონაწილეობა. ქალაქ სტრასბურგში გამართულ შეხვედრას ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების და დამკვირვებელი ქვეყნების ას ორმოცდაათზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. შეხვედრაზე, მონაწილეებმა მოისმინეს განვლილი სამი წლის ანგარიში და მომდევნო წლების სამოქმედო გეგმა. გაიმართა ორიგანიზაციის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები. ECAC-ის პლენარული სესიის ფარგლებში, ორმხირივი და მრვალმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე შეხვედრები შედგა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) საბჭოს პრეზიდენტთან, ამავე ორგანიზაციის ევროპისა და ჩრდილოეთ ატლანტიკური რეგიონული ოფისის დირექტორთან და პარტნიორი საავიაციო ხელისუფლებების, მათ შორის პოლონეთის, ბელგიის, ესპანეთის, სინგაპურის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.

ივლისი, 2024 წელი

2024 წლის 23-24 ივლისს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ორგანიზებით უპილოტო საჰაერო ხომალდებისთვის განკუთვნილი საჰაერო სივრცის (U-Space) რეგულირების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება EUROCONTROL-თან არსებული პროექტის მხარდაჭერით შედგა და მას სააგენტოს, თავდაცვის სამინისტროს, საქაერონავიგაციის, აეროპორტების წარმომადგენლები და ინდუსტრიიდან მოწვეული სხვა პირები ესწრებოდნენ. EUROCONTROL-ის ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს U-Space-ის დანერგვის ეტაპები და ფაზები, უპილოტო საჰაერო ხომალდების კონტექსტში ევროკონტროლის საჰაერო სივრცის ცვლილების რისკების შეფასება და მისი მეთოდოლოგია.

აგვისტო, 2024 წელი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) სამხედრო-სამოქალაქო დირექტორატის ხელმძღვანელი და ამავე ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მრჩეველი სამხედრო მიმართულებით გენერალ-მაიორი კარსტენ სტოი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, მხარეებმა საჰაერო მოძრაობის მართვის და

სამოქალაქო და სახელმწიფო დანიშნულების (სამხედრო) ავიაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. გივი დავითაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმარს სააერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის გაუმჯობესების და შესაბამისი სპეციალისტების პროფესიული მომზადების კუთხით გაწეული ხელშეწყობისთვის, ამასთან გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქართული მხარე მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას როგორც ევროპული კანონმდებლობასთან ჰარმონაზაციის და შესაბამისი რეფორმების განხორციელების, ისე ერთობლივი პროექტის აქტივობებში ჩართულობის მიმართულებით. EUROCONTROL-ის სამხედრო-სამოქალაქო დირექტორატის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აქვს ევროპის რეგიონის საჰაერო მიმოსვლის მართვაში, რადგან მას აქვს დამაკავშირებელი ფუნქცია კონტინენტსა და ახლო და შორეულ აღმოსავლეთს შორის. კარსტენ სტოის თქმით, ორგანიზაცია კვლავაც მზადაა დახმარება გაუწიოს ქართულ მხარეს საჰაერო მოძრაობის მართვის მოდერნიზების პროცესში.

აგვისტო, 2024 წელი

საქართველოს დელეგაციამ სააგენტოს დირექტორის, გივი დავითაშვილის ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღო კანადის ქალაქ მონრეალში, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით გამართულ საჰაერო მოძრაობის მართვის რიგით მეთოთხმეტე კონფერენციაში. ღონისძიება საჰაერო მიმოსვლის მზარდი დინამიკის ფონზე საავიაციო სისტემის სტაბილური განვითარების და ეფეტურობის გაუმჯობესების თემატიკას ეძღვნებოდა. ყურადღება გამახვილდა ICAO-ს, წევრი სახელმწიფოებისა და ინდუსტრიის წინაშე მდგარ გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევებზე და სწრაფი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის აუცილებლობაზე. ფორუმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები დასამტკიცებლად წარედგინა საბჭოს. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს დელეგაციამ შეხვედრები გამართა ICAO-ს გენერალურ მდივან ხუან კარლოს სალაზართან და საბჭოს პრეზიდენტ სალვატორე შაკიტანოსთან. შეხვედრებზე დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ მიღებული მაღალი შედეგები ICAO-ს 2024 წლის საავიაციო უშიშროების აუდიტის ფარგლებში. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ზედამხედველობის

მაჩვენებლები გაუმჯობესებულია წინამორბედ აუდიტთან შედარებით და 89.75%-ი შეადგენს, რითაც ქვეყანა მოწინავე ადგილს იკავებს რეგიონში. ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების განხილვისას, აღინიშნა ICAO-ს პროგრამებში და სამუშაო ჯგუფებში სააგენტოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა. პოზიტიური შეფასება მიეცა უწყების საქმიანობას რეგიონის ქვეყნებისთვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. შეხვედრებზე, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ICAO-ს ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, მათ შორის, გაიზიარეს საქართველოს პოზიცია სოხუმის ე.წ. აეროპორტიდან საერთაშორისო ფრენების დაუშვებლობის შესახებ.

სექტემბერი, 2024 წელი

საქართველოს მიმართულებით პირდაპირი სამგზავრო რეისების დაწყების თაობაზე სამუშაო შეხვედრა შედგა ავიაკომპანია AIR CHINA-ს წარმომადგენლებთან. სააგეტნოში გამართული შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოში ოპერირების გეგმები და რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწყებისთვის აუცილებელი ტექნიკური ასპექტები განიხილეს (ურუმჩი - თბილისი - ურუმჩის საჰაერო ხაზზე ავიაკომპანიამ ოპერირება 2024 წლის დეკემბრიდან დაიწყო). AIR CHINA-ს წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა რომ საქართველოში ხელსაყრელი გარემოა საჰაერო მიმოსვლის დაწყებისთვის, კერძოდ, ხაზი გაესვა საავიაციო ბაზარზე დაშვების კუთხით არსებულ მარტივ პროცედურებს და შედეგიან თანამშრომლობას, როგორც სააგენტოსთან ისე ქვეყნის სხვა უწყებებთან და აეროპორტთან.

სექტემბერი, 2024 წელი

გივი დავითაშვილი ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ედიტე მედნეს შეხვდა. სააგენტოს ხელმძღვანელმა სტუმარს გააცნო სააგენტოს საქმიანობა და სამომავლო გეგმები, მათ შორის საუბარი შეეხო ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობას ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის კუთხით არსებული მზარდი დინამიკა. აღინიშნა, ლატვიური ავიაკომპანია airBaltic-ის

მრავალწლიანი წარმატებული ოპერირება საქართველოს საავიაციო ბაზარზე. ითქვა, რომ 2023 წელი იყო რეკორდული საქართველოსა და ლატვიას შორის განხორციელებული ფრენების და გადაყვანილი მგზავრების მაჩვენებლების თვალსაზრისით (352 ფრენა, 99 193 მგზავრი). შეხვედრის ბოლოს, მხარეებმა გამოთქვეს მზაობა, ხელი შეუწყონ ორი ქვეყნის საავიაციო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პროცესს.

სექტემბერი, 2024 წელი

2024 წლის 24-26 სექტემბერს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საჰაერო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემური მართვის საკითხებზე (SWIM) სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ თავდაცვის სამინისტროს, საერნაოსნო მომსახურების საწარმოს, აეროპორტებისა და საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების წარმომადგენლები. სამდღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, EUROCONTROL-ის ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს SWIM-ის კონცეფცია, დანერგვის ეტაპები და მარეგულირებელი მოთხოვნები. „System Wide Information Management“ (SWIM) წარმოადგენს საჰაერო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემურ მართვას შესაბამისი სტანდარტების, ინფრასტრუქტურის და პროცესების ერთობლიობის და კვალიფიციურ მხარეებს შორის თავსებადი სერვისების გაცვლის მეშვეობით. SWIM-ის დანერგვა ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების გენერალური გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც გლობალურ და რეგიონალურ დონეზე, ისე ქვეყნის შიგნით, შესაბამის აქტორებს შორის საავიაციო ინფორმაციის გაცვლის პროცესის და თანამედროვე ციფრული გადაწყვეტების მეშვეობით სერვისების გაუმჯობესებას.

ოქტომბერი, 2024 წელი

2024 წლის 15-17 ოქტომბერს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, EUROCONTROL-თან თანამშრომლობით კიბერუსაფრთხოების საკითხებზე სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა. ღონისძიებას სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად, თავდაცვის სამინისტროსა და „საქაერონავიგაციის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. სამდღიანი სამუშაო შეხვედრის ძირითად საკითხებს საჰაერო მოძრაობის მართვის და საავიაციო უსაფრთხოების მიმართულებებით დანერგილი კიბერუსაფრთხოების ღონისძიებები და არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გზები წარმოადგენდა. EUROCONTROL-ის ექსპერტებმა, მონაწილეებს გაუზიარეს ევროპული

გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კუთხით, ასევე ის უახლესი მეთოდები და ინოვაციური გადაწყვეტები, რაც შემუშავებულია საავრნაოსნო მომსახურების სფეროში ციფრული აქტივების დასაცავად.

ოქტომბერი, 2024 წელი

2024 წლის 21-25 ოქტომბერს, მალაიზიის ქალაქ კუალა ლუმპურში, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მოლაპარაკებები (ICAN 2024) შედგა. ღონისძიების ფარგლებში:

- **საქართველოსა და სეიშელის რესპუბლიკის მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.** შეთანხმება ეფუძნება ლიბერალურ პრინციპებს და არ ითვალისწინებს შეზღუდვებს დანიშნული ავიაკომპანიების რაოდენობასა და დანიშნულების პუნქტებზე. ამასთან, დანიშნულ ავიასაწარმოებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ ფრენების ტევადობა და სიხშირე.

- **საქართველოსა და რუანდის რესპუბლიკის მთავრობებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.** შეთანხმება ეფუძნება ლიბერალურ პრინციპებს და არ ითვალისწინებს შეზღუდვებს დანიშნული ავიაკომპანიების რაოდენობასა და დანიშნულების პუნქტებზე. ამასთან, დანიშნულ ავიასაწარმოებს უფლება აქვთ თავად განსაზღვრონ ფრენების ტევადობა და სიხშირე.

- **საქართველოსა და ჰონგ-კონგის საავიაციო ხელისუფლებებს შორის საჰაერო მიმოსვლის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.** მემორანდუმის თანახმად, ქართულ და ჰონგ-კონგურ ავიაკომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, საჰაერო მიმოსვლის შესახებ მთავრობათაშორისი ორმხრივი შეთანხმების ძალაში შესვლამდე, რეგულარული სამგზავრო და სატვირთო ფრენები განახორციელონ საქართველოსა და ჰონგ-კონგს შორის ტევადობის, სიხშირისა და საჰაერო ხომალდის ტიპის შეუზღუდავად.

- **საქართველოსა და ყაზახეთის საავიაციო ხელისუფლებებს შორის საჰაერო მიმოსვლის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.** მემორანდუმის შესაბამისად, ქართულ ავიაკომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ პირდაპირი რეგულარული საჰაერო მიმოსვლა განახორციელონ დამატებით ყაზახეთის 12 ქალაქის მიმართულებით. დამატებითი დანიშნულების პუნქტებია, ისეთი მსხვილი ქალაქები როგორიცაა, შიმკენტი, აქტობე,

ყარაღანდა, კოსტანაი, თარაზი, სემეი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საქართველოს მხრიდან დანიშნული ავიაკომპანიებისთვის რეგულარული ფრენების განხორციელება დაშვებული იყო მხოლოდ ასტანის, ალმათისა და აქტაუს მიმართულებებით.

- **საქართველოსა და მაროკოს სამეფოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის საჰაერო მიმოსვლის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.** მემორანდუმის თანახმად, საქართველოსა და მაროკოს ავიაკომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, საჰაერო მიმოსვლის შესახებ მთავრობათაშორისი ორმხრივი შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ორ ქვეყანას შორის რეგულარული სამგზავრო და სატვირთო ფრენები განახორციელონ ტევადობის, სიხშირისა და საჰაერო ხომალდის ტიპის შეუზღუდავად.

დეკემბერი, 2024 წელი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელმა გივი დავითაშვილმა ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის ეგიდით გამართულ ფორუმსა და წევრი სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა შეხვედრაში (ECAC DGCA/163) მიიღო მონაწილეობა. ფორუმის ფარგლებში, რომელსაც ECAC წევრი ქვეყნების სამოცდაათზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა, მხარეებმა 2024 წლის ძირითადი მიღწევები, სამომავლო გეგმები და საავიაციო სექტორის წინაშე არსებული გამოწვევები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კრიზისების პროგნოზირებისა და შერბილების, ასევე კრიტიკული სიტუაციებისა და კრიზისების მართვის ღონისძიებების განხილვას. ECAC-ის წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა სპეციალურ შეხვედრაზე, მონაწილეებმა იმსჯელეს ევროპის რეგიონისათვის პრიორიტეტულ საკითხებსა და თანამშრომლობის პროექტებზე. დღის წესრიგის შესაბამისად, ასევე განხილულ იქნა ორგანიზაციის მომდევნო წლების სამოქმედო გეგმა, ბიუჯეტი და წევრ სახელწიფოებთან კოორდინაციით დაგეგმილი ღონისძიებები.

სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტურობის ამაღლება

- სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ძირითადად მოიცავდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და სააგენტოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონელი და მომსახურების ხარჯებს.

- 2024 წელს, სააგენტოს მიერ გამოცხადდა 6 საჯარო კონკურსი ვაკანტურ პოზიციებზე. აქედან: კონკურსის შედეგად შეირჩა 5 თანამშრომელი. განხორციელდა 5 თანამშრომლის კარიერული განვითარება. შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 2 თანამშრომელთან. გათავისუფლდა 4 თანამშრომელი პირადი განცხადების საფუძველზე.

- 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 120 ერთეული სახელმწიფო შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებისა და შესყიდვის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე). მათ შორის აღსანიშნავია სააგენტოს ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაძლიერების მიზნით განხორციელებული შესყიდვები: სატრენინგო მომსახურებები JAA Training Organization-დან და სხვა წამყვანი საავიაციო სასწავლო დაწესებულებებიდან; 2 ერთეული სამორიგეო დანიშნულების ავტომანქანის ჩანაცვლება; ეკიპირება და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები მოქმედი ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებისთვის, ფერადი პრინტერები, საოფისე ავეჯი და სხვა.

- სააგენტოს უზრუნველყოფით/დაფინანსებით, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, თუ საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, 2024 წელს განხორციელდა ოთხმოცზე მეტი სხვადასხვა ტიპის (პირველადი, საბაზისო, სპეციალიზებული, პრაქტიკული, განმეორებითი, დამატებითი) სწავლება სააგენტოს თანამშრომლებისთვის. უზრუნველყოფილ იქნა, როგორც შიდა სწავლებები, ისე თანამშრომელთა სწავლებები საზღვარგარეთ და ვირტუალური ტრენინგები.

- 2024 წელს, დეპარტამენტების საჭიროებების შესაბამისად ითარგმნა 8 დოკუმენტი (ევროპული რეგულაციები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და ა.შ.).

სააგენტოში ხარისხის მართვის პოლიტიკის შესრულების უზრუნველყოფა

2024 წლის განმავლობაში სააგენტოს ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა სააგენტოს მართვის სისტემის, სააგენტოში წარმოებული ძირითადი პროცესებისა და მათი რელევანტური პროცედურების მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებელი ღონისძიებების დაგეგმვა და რეგულარული განხორციელება, სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის შესაბამისობის მონიტორინგის შედეგების წარდგენა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებელი და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი.

დამტკიცდა ათამდე შიდა დოკუმენტი, მათ შორის როგორც მენეჯმენტის სისტემის, ისე სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ინიცირებული შიდა სახელმძღვანელოები/პროცედურები (შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო და მასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, სამართალდარღვევათა აღსრულების სახელმძღვანელო, იკაოს წერილების მართვის წესი, ავიასამედიცინო ექსპერტის სახელმძღვანელო, საჰაერო ხომალდების მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალის დამტკიცების პროცედურა და სხვ)..

სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- 2024 წელს, სააგენტოში შემოვიდა 28 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქედან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა 27 მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე.

- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს მიერ, ხორციელდებოდა ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე;

- გარე განხილვის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების განთავსება ხდებოდა (15 პროექტი) სააგენტოს ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ განყოფილებაში (ნორმატიული აქტების პროექტები).

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

2024 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ პირველად უზრუნველყო ანაზღაურებადი სტაჟიორების აყვანა. აღნიშნული შესაძლებელი გახდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილების შესაბამისად. სტაჟიორის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული და აყვანილ იქნა ორი სტაჟიორი სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში თავდაპირველი 4-თვიანი ვადით. სტაჟირების მიზანია სტაჟიორის მიერ პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, კვალიფიკაციის ამაღლება საჯარო დაწესებულებისთვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად და საჯარო დაწესებულებების მხარდაჭერა დამატებითი ადამიანური რესურსით.

სამომავლოდ, სააგენტოს აქტიურად გეგმავს ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობის გამოყენებას სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით ახალგაზრდების მოზიდვის და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

სოციალური პასუხისმგებლობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლიდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2024 წლის განმავლობაში, თანამშრომლების პირადი შემოწირულობებით ფონდისთვის 7080 ლარის მობილიზება მოხერხდა;

2025-26 წლებში დაგეგმილი მნიშვნელოვანი აქტივობები:

2025-26 წლებში, გაგრძელდება მუშაობა შემდეგი აქტივობების განხორციელებაზე:

- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირებისა და საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების შემუშავება ევროპული სტანდარტის მიხედვით;
- საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ეკიპაჟის წევრების ინსტრუქტორების და გამომცდელების მიმართ ევროპული სტანდარტების გავრცელება;
- საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების ევროპული სტანდარტების მიღება;
- საერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობასთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციების დანერგვა;
- აეროპორტებში დროის განრიგების (სლოტები) გამოყოფის ევროკავშირის მოთხოვნების შესწავლა და დანერგვა;
- სამოქალაქო ავიაციის სფეროს რიგ კონვენციებთან მიერთებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება:
  - „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის დარგში უკანონო აქტებთან ბრძოლის" შესახებ 2010 წლის კონვენცია;
  - „საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულთა და ზოგიერთი სხვა მოქმედების შესახებ“ კონვენციის 2014 წლის ოქმი;
  - ,,საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 1970 წლის კონვენციის 2010 წლის ოქმი;
  - „მოძრავი მოწყობილობების მიმართ საერთაშორისო გარანტიების შესახებ“ კეიპტაუნის კონვენცია და მისი ოქმი.
- აეროპორტებში სახმელეთო მომსახურებასთან („ground handling“) დაკავშირებული ევროპული სტანდარტების დანერგვა;
- ICAO-ს ყოვლისმომცველი აუდიტისთვის მზადება;
- სამოქალაქო აეროდრომზე ბაქანზე საქმიანობის მართვის (Apron Management) წესის მიღება;
- სამოქალაქო ავიაციისთვის საფრთხის შემცველი ლაზერული გამოსხივების მარეგულირებელი წესების მიღება;

- ცვლილებები უპილოტო საჰაერო ხომალდების სისტემების რეგულირების კუთხით და მათი ფრენებისთვის შეზღუდული/აკრძალული არეების გასაჯაროება;
- ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების და ავიასაწარმოების ზედამხედველობის პროცესის ეტაპობრივი დიჯიტალიზაცია და სხვა.

საქმიანობის ანგარიში 2024 წელი